

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

15 / აგვისტო 2016

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძის მიერ,

და

შპს „გოტა 21“ (შემდგომ: „კომპანია“) ს/კ: 401963791, წარმოდგენილი მისი დირექტორის ბექან ბალათურიას მიერ,

ვინაიდან, ძირითადად მხარეებმა, მემორანდუმის შესაბამისად კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანალიზის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საჯარო განხილვის შედეგების საფუძველზე მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიამ მემორანდუმის 9.1. მუხლის საფუძველზე მთავრობის სასარგებლოდ წარმოადგინა საბანკო გარანტია;

აქედან გამომდინარე, ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მშენებლობის ფაზის დაწყების მიზნით.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

საქართველოს მთავრობა

კახა კალაძე

შპს „გოტა 21“

ბექან ბალათურია



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№ 1364 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

1. მოწონებულ იქნეს შეთანხმების პროექტი, საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობასა და შპს „გოტა 21-ს“ შორის დასადები ხელშეკრულება, „სტორი 1“ ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ.


3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტში მითითებული ხელშეკრულებისა და საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21-ს“, სს „საქართველოს სახელმწიფო

ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის 2015 წლის 14 ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად, შპს „გოტა 21-ის“ მიერ სამშენებლო საბანკო გარანტიის წარდგენის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს შპს „გოტა 21-ის“ მიერ წარდგენილი წინასამშენებლო საბანკო გარანტიის (70 000 აშშ დოლარის ოდენობით) დაბრუნება.

4. ამ განკარგულების მე-3 პუნქტში განსაზღვრული საბანკო გარანტიის დაბრუნების თაობაზე გარანტიის გამცემ ბანკში წარსადგენ შესაბამის წერილზე, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს კახა კალაძეს.

5. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ შეთანხმებასა და ამავე განკარგულების მე-2 პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულებას, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვირიკაშვილი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA01011425251381

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36, ელ. ფოსტა info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№2675

06 / აპრილი / 2015 წ

საქართველოს ენერგეტიკი
მინისტრის მოადგილე
ბატონ ირაკლი ხმალაძე

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2015 წლის 30 აპრილის №04/1167 წერილიც წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21“-ს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითა გაგნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,

გ. დხიჯიფანიძე

მინისტრის მოადგილე

გომა ლორთქიფანიძე



საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Barateshvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

17/04/2015

N 247

247-01-2-201504171805



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2015 წლის 30 მარტის #04/1166 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს "ენერგოტრანსმა" განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21“-ს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი. ამასთან, გაცნობებთ, რომ შპს "ენერგოტრანსს" თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდენილი მემორანდუმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,
კახა სეზნიაშვილი

დირექტორი



1726-09-2-201504201006

N 1726/09

20/04/2015

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილა თქვენი 30.03.2015წ. N04/1166 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსი“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ და შპს „გოტა 21“-ს შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებით შემდეგს:

1. პროექტის 1.18 ქვეპუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მიზანშეწონილია უფრო ნათლად ჩანდეს, რომ დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის ლიცენზიატები „მიიღე ან გადაიხადე პრინციპის“ შესაბამისად კომპანიას უბდიან კომპენსაციას გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. შესაბამისად, გთავაზობთ ხსენებული „ა“ ქვეპუნქტის ბოლო წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“ საკუთარი ზრალით კომპანიას სრულად ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და შემთხვევებში“.

2. ელექტროსადგურის მშენებლობასთან ერთად, უნდა მოხდეს მისი დადგენილი წესით მიერთება გადამცემ ქსელთან. შესაბამისად, საჭიროა ერთმნიშვნელოვნად განისაზღვროს თუ ვინ უზრუნველყოფს (ფინანსურად) ენერგეტიკულ ქსელში ჩართვისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას. იმის გათვალისწინებით, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გაწეულ მომსახურებაზე დადგენილი ტარიფები არ ითვალისწინებს და ამ ეტაპისთვის სრულად არ ფარავს არათუ ახალ, არამედ აქმადე არსებული პროექტების ხარჯებსაც, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ნათლად მიეთითოს, რომ ენერგეტიკულ ქსელში ჩართვის ხარჯები სრულად ეკისრება კომპანიას. აქედან გამომდინარე, გთავაზობთ პროექტის 8.3. პუნქტის შემდეგ რედაქციას:

www.gse.com.ge

„8.3. ააშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი გადამცემ ქსელთან მიერთების ხარჯების დაფარვა და ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.“

3. პროექტის 9.4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მე-14 მუხლზე მითითება უნდა შეიცვალოს მე-15 მუხლზე მითითებით, რომელიც არეგულირებს მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის საკითხს.

4. პროექტის მე-11 მუხლში განსაზღვრულია „ესკო“-სთან გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად ელექტროენერჯის რეალიზაციის ტარიფი. მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს, რომ აღნიშნული ტარიფი წარმოადგენს თითოეული კილოვატ საათისთვის გადასახდელ თანხას.

5. პროექტის მე-14 პუნქტში მიზანშეწონილია დამატებით დაკონკრეტდეს, რომ ექსპორტის მიზნით დისპეტჩერიზაცია-გადაცემის მომსახურებით უზრუნველყოფა 10 წლის განმავლობაში ხდება თითოეული ასეთი წლის მხოლოდ იმ პერიოდში, რა პერიოდშიც დაშვებულია ექსპორტი მემორანდუმის მე-11 მუხლის შესაბამისად.


6. პროექტის 15.4 პუნქტში მე-4 მუხლზე მითითება უნდა შეიცვალოს მე-6 მუხლზე მითითებით. ამასთან, მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15.4. მთავრობის მიერ მემორანდუმის მე-6 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მოუხედავად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას“.

7. იმის გათვალისწინებით რომ მემორანდუმის ხელმოწერი ექვსი მხარეა, პროექტის 23-ე მუხლში ფორმულირება „ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმა“ უნდა შეიცვალოს შემდეგით: „მხარეების გონივრული კონტროლის მიღმა“.

პატივისცემით,

სულხან ზუმბურიძე


მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი

საქრუსენერგო

სს საქართველოს ენერჯეტიკული სისტემა

SAKRUSENERGO

JSC UNITED ENERGY SYSTEM



N 10/245
21/04/2015

245-10-2-201504211320


საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

2015 წლის 30 მარტის #04/1166 წერილის პასუხად გაცნობებით, რომ გავეცანით საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21“-ს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შპს „ენერჯოტრანსს“, სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტს, რომელთან დაკავშირებითაც მოგახსენებთ შემდეგს:

განსახილველი ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმდება ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შპს „ენერჯოტრანსს“, სს გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და მეორეს მხრივ კომპანიას შორის, იქნება დაფუძნებული „ჩიილე ან გადაიხადე პრინციპზე“. გადაცემის ლიცენზიატების ინტერესების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ურთიერთგაგების მემორანდუმის 1.18 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერჯოტრანსი“ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში კომპანიას უზრუნველყოფენ საჭირო დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურებით, ხოლო „ენერჯოტრანსი“ დამატებით უზრუნველყოფს კომპანიას გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჯხა“-ს ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე ელექტროსადგურის მიერ გამოიშვებულ ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში ექსპორტის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერჯოტრანსი“ კომპანიას ვერ უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნული მომსახურებით, დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად, აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რომლის ოდენობა განისაზღვრება გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით, და:“


აგრეთვე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ურთიერთგაგების მემორანდუმის 1.18 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბ) კომპანია ვალდებულია „სსე“-ს, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“ გადაუხადოს ზემოაღნიშნული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“

პატივისცემით,

რომეო მიქაულაძე

გენერალური დირექტორი






ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, პარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი 2401420; ფაქსი 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

№ 01/350

3 04 2016.



თანხმობა ხელმოსაწერი
ურთიერთგაგების მემორანდუმის
პროექტზე

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2015 წლის 30 მარტის #04/1166 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „გოტა 21“-ს, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (ქები: სტორი 1), რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გავგაზნია.

პატივისცემით,
გენერალური დირექტორი

ვ. ამბოკაძე

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"
რეგისტრირებულია ქ. თბილისის ვაკე რაიონში ინჟინერის მიერ 07.08.2006 წელს საიდ. კოდი 205170036

THE ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Public Finance Directorate on 07.08.2006; ID CODE 205170036



**ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეთ
(არაკომერციული) იურიდიული პირების
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16114163, 12/08/2016 18:17:02

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს გოტა 21

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: 401963791

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 24/10/2011

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მ. ალექსიძის ქ., N 1, ბინა 1

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: Tsulukidze.s@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/ნარმომადგენლობა

- დირექტორი - 62003006167, ბეჟან ბალათურია

პარტნიორები

შესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
61004003590, სულიკო ნულუკიძე	100.000000000%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოდრავ ნივთებსა და არაშატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge